№ 9. 14 იანვარი, ოთხშაბათი. 1866—1881 14 იანვარი. ოთხშაბათი. № 9.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებ-
ში, კლუბის ქვემოთ

ხელის-მოწერა

მიიღება „დროება"-„ივერიის" რედაქციაში. გა-
რეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію
„Дроэба"-„Иверія".

„დროება"-„ივერიის" ფასი

| | წელიწადში. | 6 თვით | 3 თვით |
|---|---|---|---|
| „დროება"-„ივერია" ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება" | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია" | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს 5 კაპ.

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ. [illegible] მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ. [illegible] ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

წმ. ნინოს დღესასწაულის გამო, ხვალ, ხუთშაბათს გაზეთი არ გამოვა.

„დროება"-„ივერიის"

## ალბომი

ამ 1881 წლის განმავლობაში „დროება"-„ივერიის" რედაქცია თავის წლიურ (მთელი წლის) ხელის-მომწერლებს უფასოდ დაურიგებს მხატვრობის ალბომს, რომელსაც უსასყიდლოდ გვისატავს ჩვენი ახალგაზდა ნიჭიერი მხატვარი ალექსანდრე ბერიძე.

მხატვრობა და ტექსტი ალბომისა დაბეჭდილი იქნება იტალიაში თვითონ ბერიძის ზედამხედველობითა და ხელმძღვანელობით.

ალბომში იქნება შემდეგი სურათები:

1. თამარ-დედოფალი, 2. ერეკლე მეფე, 3. შოთა რუსთაველი, 4. ალექსანდრე ჭავჭავაძე, 5. მარი ბროსსე, 6. ორი სურათი „ვეფხვის-ტყაოსნიდამ", 7. მცხეთის მონასტერი, 8. გელათის მონასტერი, 9. უფლის-ციხის ნანგრევები, 10. პეიზაჟები, 11. ჩვენი ხალხის ტიპები და სხვ.

## წმ. ნინოს დღეობა

ტფილისი, 13 იანვარს.

ქართველთ ეკკლესია და ქართველი ერი დღეს, 14 იანვარს, თავის განმანათლებელის, ქრისტიანობის სხივის მომფენის დღეობას დღესასწაულობს.

დიდებული საუკუნოთ ღირს-სახსოვარი დღეა ეს დღე ჩვენთვის. წმ. ნინოს ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლიდამ და იმისაგან ქრისტეს სწავლის გავრცელებიდამ იწყება ჩვენი ერის ნამდვილი მოქალაქობრივი, კაცობრიული, სახელმწიფოებრივი ცხოვრება და წარმატება.

ძველა ხალხებში ასე ყოფილა: ქრისტიანობას ყველგან შემოუტანია კაცური ცხოვრება, ერის წარმატება და ყოველის კეთილისადმი ლტოლვილება.

ღირს-შესანიშნავია, რომ ეს დიდებული საქმე საქართველოში ქალს ერგო ხვედრად. ზანგებამ ქალი გამოგზავნა ჩვენში ქრისტიანობის გასავრცელებლად და წარმატების გზაზე დასაყენებლად.

ქალს მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონია ჩვენს წარსულს ისტორიულ ცხოვრებაში. როგორც ღვთის სიტყვის ძლიერება, როგორც ზნეობითი სწავლა წმ. ნინომ გაავრცელა ჩვენში, ისე სახელმწიფო ძლიერება და ერის ღონე გაავრცელა დაამყარა ჩვენში მეორე დიდებულმა ქალმა—თამარ დედოფალმა. ჩვენი ძველი ქალები თავ-დადებულნი იყვნენ მამულისათვის; ისინი ამხნევებდნენ მტრის წინააღმდეგ მამულის დასაცველად ლაშქარში მიმავალს ქმრებსა და ძმებსა; ხალხის ზნეობას ისინი იცავდნენ; ისინი იყვნენ საუკეთესო მწიგნობარნი; იმათი ქველ-მოქმედება, იმათი მტკიცე ზნეობა, იმათი შეურყეველი მხნე ხასიათი ამხნევებდა მამა-კაცებსა და ერთი-ორად მომეტებულ ენერგიას აძლევდა ამათ სამშობლოს, ერის და რჯულის დაცვისათვის.

ამისთანანი იყვნენ ჩვენი ძველი დედები და დანი. ჩვენდა საუბედუროთ, ახლანდელ დროში ჩვენ ვერ ვხედავთ იმისთანა დედებსა და დათ. ახლანდელ ქალებს თითქმის ყოველიფერს სამშობლოზე გული აცრუებული აქვსთ. აღარ სწამთ ახლანდელ ჩვენ ქართველ დედებსა და დებს არც ქართული ენა, არც სამშობლო მწიგნობრობა, არც ქართველური ზნეობა და ქველ-მოქმედება.

ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი ამისა ჩვენის აზრით, ის არის, რომ ახლანდელს ჩვენს საქალებო სასწავლებელში სამშობლო ენისა და არც სხვა არაფრის სამშობლოის ცოდნას თითქმის არავითარი ყურადღება არა აქვს მიქცეული; და მოგეხსენებათ, რომ რასაც პატარაობიდამვე ჩააგონებ და ასწავლი ადამიანს, ბოლომდინ, დიდობაშიაც ის გაჰყვება.

მაგრამ იყო დრო, და ამ დროს აქეთ დიდი ხანი არ გასულა, როდესაც სამშობლო ენის შესწავლას ჩვენს საქალებო სასწავლებლებში უფრო მომეტებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული და უფრო მეტს მნიშვნელობასაც აძლევდნენ, ვინემ დღეს.

თ. დ. გ. ერისთავმა გადმოგვცა ჩვენ ამ დღეებში მთავარ-მმართებლის თ. მ. ს. ვორონცოვის მეუღლის კნეინა ელისაბედის წერილი იმის მამასთან თ. გიორგი ერისთავთან მიწერილი, რომელიც ყველაზე უფრო ცხადათ ამტკიცებს ზემო მოყვანილ ჩვენს სიტყვებს.

აი ეს წერილი სიტყვა-სიტყვით გადმოთარგმნილი ქართულად:

„დღეს $2^1/_2$ საათზე იქნება წმ. ნინოს ზავედენიაში ქართულის ენის ეგზამენი. ჩემი დასწრება იქ ამ ეგზამენის დროს, სრულიად უსარგებლო იქნება. მაგრამ, რადგანაც მინდა შევიტყო, როგორ შეისწავლეს ქალებმა თავისი სამშობლო ენა, ამიტომაც გთხოვთ პატივცემულო კ-ზო გიორგი დავითის-ძევ, თქვენ დაესწროთ იმ ეგზამენზედ.

კნ. ელისაბედ ვორონცოვისა.

ორშაბათი, 18 დეკემბერს 1850.

ამ ჩინებულ წერილს განმარტება და ახსნა არ ეჭირება. ცხადათ სჩანს, თუ რა ყურადღებას აქცევდა უმაღლესი მთავრობა სამშობლო ენის სწავლას ჩვენს საქალებო სასწავლებლებში.

---

«დროების» ფელტონი, 14 იანვარს.

## ქუთათური ამბები

წასრული წლის გასტუმრება და ახალის დახვედრა.—ქუთათელი საზოგადოება.—ჩვეულება ზნეზე უმტკიცესია.—სატანცაო საღამოები და სახავშო იოლკა.—გონივრული პედაგოგიის მოთხოვნილება და ჩემი თხოვნა.—საქალაქო თვითმმართებლობის მდგომარეობა.—ამ მდგომარეობის მიზეზი.—დაივასებითი შემოსავლის თაობაზედ დანიშნული კომმისია.—*Pour la bonne bouche*.

აჰა, ესეც ერთი წელიწადი კიდევ მოგვშორდა და წარიტაცა სამას-სამოც-და-თექვსმეტი დღენი სიცოცხლისა ჩვენისა და უდარდელად, დარბაისლური დინჯობით შეერია განვლილ ქმთა აუჩაცხველს გუნდს. დაუთვალავი იმედები, რომლებითაც, ჩვეულებისამებრ, შევეგებენით მას, ჩვეულებრივადვე შეუსრულებელნი დაგვირჩნენ და პირში ჩალა-ამოვლებული დაგვტოვა. დაგვტოვა და ჩაიარა.

ჩაიარა და თან გაიყოლია წყევლა-კრულვა ქალიშვილებისა, რომელნიც ქმრებს ვერ ეღირსნენ; ხატზე გადაცემა დედებისა, რომლებმაც თავიდამ ვერ აიშორეს ეს „ორ-ფეხა ბარგი" და ვერ შეიძინეს მდიდარი სიძე, რათომისაც უნდა ვოფილიყო; ლანძღვა ქალაქის თვით-მმართველობისა, რომელსაც ხარჯი მოემატა და შემოსავალი კი მოაკლდა; გინება უმადურთ ვაჭრებისა, რომელნიც თუმც ამას არ ემართლებიან, მაგრამ მაინც კი უუკურთხებენ: „აქაო და შარშან რომ ცარიელი დუქნები გადავწვი, ზლევის ბლომა ფულის აღების დროს მზღვეველ აგენტმა 20 პროცენტი ქრთამად გამომართვაო" და სხვ. და სხვ.

ხუმრობა ნუ კი გგონიათ შარშან-წინიდამ შარშანდელ-წელზე გადმოტანილ და გაქსუებულ მოლოდინების აღწერა.

იმ საზოგადოებაში, რომელშიაც ყველას კუჭის მრწამსი ძვალსა და რბილში გამჯდარი აქვს და მარტო ამისათვის ზრუნავს, რომელშიაც კაცის დასაფასებელ საწყაოდ მარტო სიმდიდრე ითვლება და ჩინოვნიკობა იდეალად,—ამისთანა საზოგადოებაში, თქვენც დამერწმუნებით, რომ საზოგადოებრივი ზრდა ბუნებრივი მსვლელობის წრეს მოშორებული იქნება და საზოგადო საქმეები ფრთა-შეკვეცილი, აულორძინებელი. მარტო ფუქსავატი იმედით ამ რიგ საზოგადოებაში რაიმე საზოგადო საქმის წარმატებას მოელიან, თუ ეს იმედიც არ დაჰკარგვიათ.

არა, ასე არ გაკეთდება არავითარი საქმე, და მეტადრე საზოგადო საქმე. იმედი კარგია, მაგრამ იმ გვარი იმედი, რომელსაც საქმე ეხმარება, რომელსაც სულით და გულით მონდომებულნი მოღვაწენი ჰყავს, რომლებიც მის დასაცველად სიცოცხლესაც არ დაიშურებენ...

ეს ჯერ ვერ გაუგია ქუთათელებს, თუმც ერთი წელიწადი არ არის და ორი იგი პირში ჩალა-ამოვლებული რჩება თავის იმედების წყალობით. როგორც ეტყობა მრავალ წელმა უნდა გაიაროს, სანამ ამას შეიმეცნევდეს აქაური „საზოგადოება."

ჩვეულება ზნეზე უმტკიცესია და ამიტომაც ამ აწმყო წელიწადს გარდმოეცა ის, რაც გასრულმა ვერ შეასრულა, ე. ი. ყველა თავისი იმედები და როგორც ეკადრებოდა ამდენ იმედთა ჩასაბარებელ წელს, ისეც მიეგება მას.

მამები და დედები მოირთნენ და მოიკაზმნენ, რამდენათაც ჯიბე შეძლებას აძლევდა; ქალიშვილებმა გაასალეს რაც აქაურს ვაჭრებს და, განსაკუთრებით, ივ. ნიკოლაძის და შვილთა მოდის მაღაზიას ნაირ-ნაირი გასამშვენიერებელი ხელ-საწყობა მოეპოვებოდა და „განიწმინდეს და შეამკეს გვამნი თვისნი ნაზი და ნარნარი;" კოხტა ვაჟები შეიარაღდნენ პენსნეთი, ულვაშები გააპიწკინებინეს არსენს და ქუთათელს ჟოზეფს და გაიყვნენ ორ ნაწილად: ვინც შეს-

ლესი მთავრობა მაშინ სამშობლო ენის შესწავლას. რამდენათაც ჩვენ შევიტყვია, ვორონცოვის დროს წმ. ნინოს ზავედენიაში ქალებს არ ილებდნენ, თუ იმათ თავიანთ სამშობლო ენაზე წერა-კითხვა არ იცოდნენ.

ახლა? ახლა ამავე წმ. ნინოს ზავედენიაში ქართულის ენისათვის კვირაში ერთი საათია დანიშნული და მაშინაც რამდენსამე კლასს ერთად მოუყრიან თავს და ისე ასწავლიან. ზავედენიის უნცროსს კლასსებში ასწავლის ვიღაც ქალი, რომელმანც თვითონაც არ იცის ეს ენა. უფროსს კლასსებში კი ასწავლის ბ. ბ. იოსელიანი.

მაგრამ კარგი მასწავლებელნიც რომ იყვნენ, კვირაში ერთის საათით, რის გარიგება შეუძლიანთ, რა უნდა ასწავლონ? ქართულის მასწავლებელი შტატის მასწავლებელი არ არის, იმას ჯამაგირი სხვებზე ნაკლები ეძლევა, პედაგოგიურ რჩევაში თითქმის ხმა არა აქვს და ყველა ამის წყალობით ნაყოფიც სამშობლო ენის სწავლებასაც შესაფერი გამოაქვს:

ქართველ ქალებს თითქო ეთაკილებათ, რცხვენიათ თავის სამშობლო ენაზედ ლაპარაკი და წერა და ისე სუსტათაც იციან ქართული, რომ ჩაფლით ჰკითხულობენ და მშობლებისათვის უბრალო წერილის მიწერაც კი ეძნელებათ!

წმ. ნინოს დღეობამ, ჩვენმა საერო დღესასწაულმა მოგვაგონა ჩვენ დღეს ეს წმ. ნინოს ზავედენია და იმაში სამშობლო ენის სწავლების მდგომარეობა. ვისურვებთ რომ შემდეგში ამ ბრწყინვალე და დიდებულ დღის სახსოვრად დაარსებულს სასწავლებელში ისეთი წესი დაედგინოსთ სამშობლო ენის შესწავლის შესახებ, რომ ასე გულ-ნაკლულად არ მოგვეხსენებინოს იმისი სახელი...

## ახალი ამბები

გუშინ-წინ, კვირას, ვანქის სობოროში დიდის ამბითა და პატივით დაასაფლავეს გავლილ პარასკევს ლონდონის სასტუმროში უეცრად გარდაცვლილი ღენ.-ლეიტ. არზას ტერ-ღუკასოვი. დასაფლავების დროს დაესწრო დ. მ. კავკასიის ნამესტნიკი თავის ორი უფროს ვაჟებით, თ. გ. დ. ოფბელიანი, თ. ლ. ი. მელიქოვი და ბევრი სხვა წარჩინებულნი პირნი და უთვალავი ხალხი.

მიცვალებულის კუბოზე სომხის ეპისკოპოსმა ალაპირანმა და არხიმანდრიტმა ამბრიროსმა წარმოსთქვეს სიტყვები, რომელშიაც გამოხატეს მიცვალებულის ცხოვრება, იმის სამხედრო მოღვაწეობა და მაგალითად დაუსახეს ამისა, ღენ. ლაზარევის და ღენ. შოლკოვნიკოვის ცხოვრება სომხის ახალ-მოზარდ შთამომავლობას.

* * *

სოლოლაკის მცხოვრებლებმა შემოგვჩივლეს, რომ ღენერალ-მაიორის ლოტრეკ-დე-ტულუზას დასაფლავების დროს ზარბაზნები ზედ შუა ამაღლების ქუჩაში დააყენესო, ისროლესო და ამის ძალამ ბევრი ახლო-მახლო სახლებში ფანჯრები ჩაამტვრია და რამდენიმე ყმაწვილი დასჭრა მინის ნამტვრევებითო; ერთს სახლში ფეხ-მძიმე დედაკაცი ყოფილა და ისე შეშინებია, რომ გულს შემოყრია.

ჩვენ არ ვიცით ვისი განკარგულება იყო ეს შუა ქუჩაში ზარბაზნების სროლა, მაგრამ ეს კი სასურველია, რომ შემდეგში ამისთანა შემთხვევა აღარ მოხდეს; განა არ შეიძლებოდა კოჯრის გზაზე აეტანათ ზარბაზნები და იქიდამ ესროლათ?!

* * *

გაზ. „კავკაზში“ დაბეჭდილია 12 იანვარს ფოთიდამ მიღებული ტელეგრამმა, რომ მდ. რიონი ძლიერ ადიდდა და წყალი თან-და-თან მატულობსო.

* * *

ეს მეოთხე დღეა, რაც თფილისში არც რუსეთისა და არც სამზღვარგარეთის ფოშტა არ მოსულა. მიზეზი — კავკასიის მთებში თოვლის ზვავის ჩამოწოლა და გზების გაფუჭებაა.

* * *

გორიდამ გვწერენ, ტყუილიაო, ვითომც მტკვარს ხელ-მეორედ წაელოს ჩვენი ხიდიო. წაიღო მხოლოთ პარომიო, რომელიც წყალმა სწორეთ თ. დ. ერისთავის ზვართან გააჩერა და აქედამ ჩამოტანა პარომისა ქალაქს ხუთ თუმნად დაუჯდაო.

* * *

ქუთაისიდამ გვწერენ, რომ იქაურ რუსულ ტრუპპის მოთავეს ბ. ლიუბიმოვ-დერკაჩს ერთი სასტუმროს ოთახი იჯარით და ამნაირად ახლა მეტრაქტირობას მიჰყო ხელიო.

ჩვენის აზრით, ცუდი არა არის-რა ამაში:

უხეირო ტრაქტირი სჯობია და უფრო სასარგებლო იქნება ქუთაისში, როგორც თვითონ ბატ. დერკაჩისათვის, აგრეთვე ხალხისათვის, ვინემ უხეირო რუსული დრამატიული ტრუპპა..

## „დროების“ კორრესპონდენცია

გორი 8 იანვარს. რაც ბოროტ-მოქმედება ხდება ჩვენში თითქმის მცირედი ნაწილი არა რჩება გამოუაშკარავებელი და დაუბეჭდავი გაზეთებში, და ერთი [illegible]-მოქმედება ამ [illegible] კი არ იწერება; ამისათვის მოვალეთ ვრაცხ ჩემ თავსა შეგატყობინოთ და გთხოვთ კიდეც დაბეჭდოთ გაზეთში, — იქნება ვისიც ჯერ არის, ყურადღება მიაქციონ და გაკვრა-გაგლეჯისაგან გაანთავისუფლონ ჩვენი უენო ხალხი.

მკითხველს კარგათ მოეხსენება, ყოველ ახალი წლისათვის სავაჭრო მოწმობა თუ პატენტები ანუ თამბაქოს გაყიდვის ნება უნდა ჰქონდეთ ვაჭრებს, და იღებენ კიდეც. ზოგს რომელიმე მიზეზით დარჩება ხოლმე, რომ იანვრის პირველში გამოტანილი არა აქვს ხაზინიდამ და დუქანიც დაკეტილი აქვს, ვიდრე აიღებს.

მაგრამ ბატონი აქციზის ჩინოვნიკები ჩამოუვლიან ახალ-წელიწადსვე ბახუზ-ნამთხვევები, გაალებინებენ დაკეტილ დუქნებს ხამ მოჯამაგირეს, შემოუტევს — რატომ პატენტი არ აგიღიაო? ბეჭი უენო და ვამოუცდელი ეუბნება, რომ ვერ მოვასწარითო, სამაგიეროთ დაკეტილი გვაქვსო. ეს ბატონი ჩინოვნიკი მაინც შეაყენებს აქტს, თანვე თავისავე ჩაღლულ ღესეტნიკები დაჰყავს, მოაწერინებს ხელსა წარადგენენ სუდში და ხუთ თუმნობით ჯარიმებს ახდევინებენ, რომელიც ნახევარი ეკუთვნის ბატონ აქტის შემყენებელ ჩინოვნიკს.

საცოდავს მედუქნეს, თუ გაუჩნია ვინმე, ხომ დაარიგებს და იქნება აასცილოს ჯარიმა; თუ არა, იხდის ჯარიმას. რამდენ სოფლის გლეხს ნახავთ სასამართლოში, არ იციან რაზედ არიან დაბარებულები და აქციზის ჩინოვნიკის სასარგებლოდ კი ჯარიმას იხდიან! ერთი ამ გვარი უსამართლოდ შეყენებული აქტი აქაური აქციზის ჩინოვნიკისა ამ დღეებში გა-

---

ძლო „საოჯახო საღამო“ გამართა და ვინც ვერა, კლუბში მიბრძანდნენ.

ორგანვე გაიმართა დილამდი გაგრძელებული ტანცი-მანცი. მანდილოსნები და კავალერები ერთმანეთს ჯობნიდნენ „ფეხის-ქცევის“ გამოჩენაში. ტანცი-მანცის შემდეგ, რასაკვირველია, რო ვახშამი იქნებოდა, მას ზედ დაერთობოდა ლოთობა, ღვინით ჩაგონებული არშიყობა და სპარსულს ჰანგზე დაწყობილი სიმღერები: „მერივი მიყვარს“ და „ღვინო კახუროსთანაო...“ განა შეიძლება მოვითხოვოთ ჩვენი საზოგადოებისაგან ახალ წლის უკეთესად მიგებება?

ოჰ, უკაცრავად, ერთი რაღაც კინაღამ დამავიწყდა. ბალლებიც არ დავიწყებიათ. „ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებამ“ ამათაც გაუმართა ქალაქის რჩევის დარბაზში რაღაც „იოლკას“ რომ ეძახიან იგი. დარბაზი სავსე იყო ბავშვებით და დიდრონებითაც. აქაც ტანცაობა. უკეთესი თვალ-გასართობი არა იყორა: შვიდ-რვა წლის ქალიშვილები და ან ვაჟები, ან როგორც ამ საღამოს უწოდებდნენ მათ, „დამები“ და „კავალერები“ საცოდავის ჭაპან-წყვეტით მიაჩანჩალებდნენ ფეხებს ვალსში და პოლკაში, მაგრამ თვითონ კი არაფრად იმჩნევდნენ ამ ჭაპან-წყვეტას და სიხარულის ცეცხლით გაბრწყინვებულ თვალებით უყურებდნენ მშობლებს. მ ენიც ამპარტავნულის ღიმილით უპასუხებდნენ თავიანთ შვილებს, თითქოს უნდოდათ ეთქვათ: „დიხე რა კარგი მოტანცავე იქნება ჩემი შვილიო!...“ დაიწყო კადრილი. მოვიდა დრო და გაისმა ფრანცუზული კომანდა: — „ლე დამ ა გოშ! შევალიე ა დრუა!“ აქ კი ველარ მოითმინეს დიდრონებმა და დაიყარეს სიცილი თავ-მომწონე „დამა-კავალერებს.“ შერცხვენილ მოტანცავეთ გონება დაუბნია ამ სიცილმა, ტანცაობა შეეშალათ, ერთმანერთს დაეტაკნენ თავ-გარეტიანებულ ქათმებსავით და პარტყა-პურტყი გაჰქონდათ თაფლის სანთლით გაგლესილ იატაკზე...

ბოლოს ბავშვებში სანაცვროდ — დიდრონები და სრული — დიდრონებიც ჩაერივნენ. გავიდა ღამის ათი, თერთმეტი საათი და პატარა-დიდრონები და დიდრონი-პატარები ტანცაობენ და ტანცაობენ...

ასე გაგრძელდა ორ საათამდის. „ტლინკვის მეცნიერებაში“ აჯობეს დიდრონ-პატარაებმა პატარა-დიდრონებს: ნამეტურ თავი გამოიჩინა ერთმა ახალ ჩამოსულ ქერა კაცმა დამის არჩევით და ტანცაობითაც: ისე დახტოდა, როგორც ფეხ-მიატეხილი და მეძებრებისაგან დევნული ყურდღელი სამ-ტკაველიან თოვლში!

მაგრამ მე ეს იმდენად არ მახალისებდა, როგორც იმის შეტყობა, თუ რა ამბავია ღამის ორ საათამდი თითქმის ძუძუ-მწოვარ ბავშვებს დიდებთან ერთად რომ ამდენ ხანს ატანცავებენ მეთქი. მივედი ერთს იქ მდგომს მასწავლებელთან და ვთხოვე ამის ახსნა.

— შენ დალოცვილოვო, მომიგო, ეს „რაზუმნაია პედაგოგიკის“ მოთხოვნილება არისო.

— ვეი პლეჩ... უკაცრავად, შენი ჭირიმე, ამდენ ხანს არ მცოდნია, თუ პედაგოგი ღამის ორ საათამდი ბავშვების ტანცაობას მოითხოვდა.

უპებლიეთ თითქმის დავერწმუნე ამ მასწავლებელს... მხოლოდ უნდა ვაუწყო სენაკელს გამოჩენილ ტრიუმვირებს, რომ თუ ვინიცობაა ამ ოსტატსაც ისე დაუმოწმეს მისი სიტყვები, როგორც ერთს ვაჟბატონს „კავკაზის“ მეორე №-ში, მე მაშინვე თვალებს გავახელ და ზიზღით უარ-ვჰყოფ ზემოხსენებულ მოთხოვნილების სინამდვილეს. ზოგჯერ საქმის სიავ-კარგე მოწმეებით იცნობა...

ვერ იგემა ახალ-წლით მარტო ქალაქის გამგეობამ, რომლის საქმე გასაჭირში არის უფულობის გამო. ნაღდი შემოსავალი 45,000 მანეთამდეა და გარდა ამისა მმართებლობა ეწევა კიდევ 15,000 მან. აქიდამ ჯამაგირებზე მიდის: პოლიციისათვის 22,000 მან., გამგეობისათვის 17,000 მან., ჯარების სადგომისათვის 14,000 მან.; მაშასადამე ქალაქის საჭიროებათათვის რჩება მხოლოდ 9,000 მან.

როგორ მოგწონთ? მაგრამ ზოგი მოწონება მაშინისათვის შემოინახეთ,

აუქმა სასამართლომ. ამავ ჩინოვნიკის შეყენებული აქტი გამოგზავნა აქციზის უპრავლენიამ, გარდასხდეს სტეფანე ხარაზ-აკოფოვს 15 მანეთი ჯარიმა უქონლობის გამო თუთუნის მოწმობისათ. ბოლოს აღმოჩნდა, რომ მოწმობაც ჰქონია ლებული 1889 წელსა დეკემბრის 31, და წარედგინა უმაღლესს მთავრობასთან.

აი ამ ნაირი ბოროტ-მოქმედება არის ამ ჩინოვნიკებისავან ბორ ში.

გორელი.

---

**საინგილო**, 8 იანვარს. ზაქათალის მაზრაში ბევრი სოფლები არის ინგილოებისა, რომლების წინაპარნი ყოფილან მართლ-მადიდებელნი ქრისტიანენი, ჩვენი ძმები. ამას გვიმტკიცებენ ძველთაგან დანარჩენი ნაშთები და ისეთი ადგილები, სადაც ეს ინგილოები ხვნის დროს გუთნით, პოვებენ ქვევრებს, რომლებიც ცხადათ გვიმტკიცებს უწინდელ დროში აქ ქრისტიანების ცხოვრების ნიშანს.

ამას წინათ ერთმა ინგილომ მურადონ ასლამაზოვმა იპოვა ათი ჩაფის ქვევრი, სავსე სპეტაკი წყლითა, სიპის ქვით დაფარებული; ეს ქვევრი არის მშვენიერი წმინდა და ძრიელ მსუბუქი.

ამ ჟამად ეს ინგილოები მომეტებული ნაწილი არიან მაჰმადიანები და მცირედი მართლ-მადიდებელნი. მაჰმადიანი ინგილოები დღესაც კი კიდევ ინახავენ, ერთმანეთის მალვით, დიდ-მარხვას, მარიამობისთვის მარხვას, სჭამენ ღორის-ხორცსა და სხვა, როგორც სხვა მართლ-მადიდებელნი ინგილოები, რომელთანაც აქვთ მისვლა-მოსვლა და ნათესაობა.

ამ ინგილოების გვარისანი ბევრნი არიან სიღნაღის მაზრაში, მაგ. პოპიანები და ხუციანები სოფ. მირზაანში, ბეროანები — ასანურში, დარუჯანაშვილები და ბულულაშვილები — ბოდბის-ხევში, აბულანები — ჯუგაანში და სხვა. სჩანს, რომ ესენი აქედგან გადასახლებულან, როდესაც მტერს უოხრებია და ხმლის შიშით აქაურ ქრისტიანებისთვის ძალ-დატანებით მიულებინებიათ მაჰმადიანობა.

მაჰმადიან ინგილოებს მხურვალე ლტოლვილება აქვთ თავიანთ წინაპართ სარწმუნოების მიღებისათვის; მაგრამ წინამძღვარი, გზის მაჩვენებელი და შთამგონებელი არა ჰყავთ.

ამას წინათ თასმალოში მცხოვრებთ მაჰმადიან ინგილოებმა 10 კომლამდის მიიღეს ქრისტიანობა ქახის მამასახლისის, თეიმურ ისაშვილის შთაგონებით. ამათი განზრახვა ადგილობრივ ბლაღოჩინმა მანამდისინ არ იცოდა, სანამ თვით თასმალოელები არ მივიდნენ და არ გამოუცხადეს თავიანთი ჰაზრი.

საზოგადოთ ამ ჩვენს ბლაღოჩინს ხალხი ერთობ არ ემადლიელება, რადგან ხასიათითაც არ მოსწონთ და ყოფა-ქცევითაც ვერ არის ისეთი, როგორიც სულიერ მამას, ერის მოძღვარს შეეფერება.

ხშირად ვყოფილვარ ამ ბლაღოჩინის წირვაზე და ერთხელაც არ გამიგია ამის პირიდგან ქადაგება, რომელიც პირველ საჭიროებას შეადგენს ახალ-ქრისტიანებში და განსაკუთრებით ამისთანა ხალხში.

ქახის უჩასტკის ნაჩალნიკათ (ნაიბათ) აგვისტოში მოგვივიდა ერთი ვიღაცა პორუჩიკი, ქარპინსკი, რომლის დაუდევნელობის წყალობით, გახშირდა კაცის-კვლა, ქურდობა, საქონლის დაწვა და სხვა ცუდ-კაცობა.

ამ პატივცემულ პარუჩიკს ძრიელ ეჯავრება ქართული ენა, რომელსაც „ეშმაკის ენას" ეძახის. ვაი იმ კაცის ბრალი, რომელიც ამასთან სხვას ქართულად დაელაპარაკება.

ხსლიძე.

---

## ნამდვილი ამბავი *)

„ამ ოცი, ოც-და-ხუთის წლის წინათ ჩვენს მაზრაში უფროსად იყო ერთი პატიოსანი კაცი. ამ მაზრის უფროსს სთხოვა ერთმა მწერალმა, რომ მიეცა მისთვის სეკრეტრობა. მაზრის უფროსი, როგორც მოგახსენეთ, გულ-კეთილი კაცი იყო, შეებრალა ის მწერალი, რადგან ღარიბი ოჯახის შვილი იყო, და მისცა სეკრეტრობა.

„რამდენიმე ხნის უკან მაზრის უფროსმა გაგზავნა სეკრეტარი ქუთაისში საქმეების გამო და სხვათა შორის გაატანა 100 მანეთი და სთხოვა, რომ ეს ფული გაეგზავნა პეტერბურღში და გამოეწერა იქიდამ ოქროს საათი.

„როდესაც სეკრეტარი დაბრუნდა, მოახსენა მაზრის უფროსს, რომ მან გაგზავნა ასი მანეთი იმ ადრესით იქ, სადაც ჰქონდა ბრძანება. მაზრის უფროსი ენდობოდა სეკრეტარს და ფოჩტის კვიტანცია არ მოუთხოვნია.

„გავიდა ერთი თვე, ორი, ხუთი, საათი არ მოდის. ჰკითხავს სეკრეტარს: რა ამბავია, ჩემი საათი არ მოდისო. მოსთხოვა ფოჩტის კვიტანცია. სეკრეტარმა დაუწყო ძებნა კვიტანციას და ბოლოს მოახსენა, კვიტანცია ვერ ვიპოვნეო. ამ დროს თვით მაზრის უფროსს მოუხდა წასვლა ქუთაისში; შავიდა ფოჩტის კანტორაში და მოითხოვა წინა თვეების დავთრები, მაგრამ ის ასი მანეთი არსად წიგნებში ჩაწერილი არ აღმოჩნდა.

„მაზრაში რომ დაბრუნდა, საყვედური უთხრა სეკრეტარს საიდუმლოთ. სეკრეტარი გაუტყდა, რომ ის ფული არ გაუგზავნია და თვითონ მოიხმარა, აღუთქვა მიცემა.

„შემდეგ სეკრეტარი სხვა მაზრაში გადიყვანეს, სადაც თან-და-თან იმატა ჩინით, ჯვარით და ადგილის სიმაღლით.

„რაღა გავაგრძელო, ოცის წლის განმაავლობაში სხვა-და-სხვა მაზრაში დიდ-ძალი მამულები, შენობაები და ფული შეიძინა ასე, რომ დღეს იმ ბატონს აქვს უკანასკნელი ასი ათასის მანეთის შეძლება. თანამდებობაც საჩინო აქვს.

„საბრალო მაზრის უფროსის ბედი კი უკუღმა დაბრუნდა: მისი უკანასკნელი თანამდებობის ადგილი, შემდეგ მაზრის უფროსობისა, გაუქმდა და დარჩა უადგილოთ, საშინლათ დაღარიბდა. ბოლოს დამბლა მოუვიდა; ჩამოიტანეს ურმით ქუთაისში საექიმოთ. მაშინ მისწერა მისს ნასეკრეტრევს, რომ ასი მანეთი გამოეგზავნა, რომელიც საათის ფასათ გაატანა და არ გაუგზავნია და რომელიც არ დაუბრუნებია. პასუხათ შეჰოეთვალა, „გასულელებულხარო, რომელი და სადაური ასი მანეთიო!" აღარც კი შეხედა, არა თუ დაუბრუნა საწყალს თავისი ფული.

„გთხოვთ მიბრძანოთ, ცხენის ქურდობა სჯობია, თუ ამ ნაირი საქმე?

*) ეს ამბავი მივიღეთ ჩვენ ამ დღეებში ერთის მეგრელისაგან. თუმცა არ ვიცით — ვის შეეხება და ვისზედ არის ეს შენიშვნა დაწერილი, მაგრამ, როგორც სამაგალითო ფაქტს, მაინც ადგილს ვაძლევთ ჩვენს გაზეთში. ავტორი კი გვარწმუნებს, რომ ეს ნამდვილი ამბავიაო.

---

როცა ნახავთ ქუთაისის ოღრო-ჩოღროიან ქუჩებს, სამ-ნაბიჯზე მანათობელ ფარნებს, ცეცხლის საქრობ ხელსაწყობს, რომელიც ბავშის საქყაპუნებელსა ჰგავს და სხვ. რისაგან არის ეს? იმიტომ ხომ არა, რომ ბამგეობა შესაფერად ვერ ზრუნავს? არა, ამას მტერიც ვერ დასწამებს ჩვენს ბამგეობას. მაშ რაა მიზეზი? მრავალ ჩვენებურ საქმეთა ჩვეულებრივი სენი, რომელსაც სახელად ჰქვია „პარტიობა", პარტიობა შურიანობის და ჯინისა. დიაღ, თვით-მმართველობის დადგენისათანავე ქუთაისში შესდგა შურიანობით სულ-ჩადგმული რაღაც ვითომ-„ოპპოზიცია", რომელიც დღეისამდე საცოდავათ აჯახირებს თავის სიცოცხლეს და მუდამ ცდილობს მოწინააღმდეგე დასის ან თვითონ ბამგეობის კეთილი განზრახვა დამწუნებელის თვალით მიიღოს, ჩაბახოს და უარ-ჰყოს, მხოლოდ იმიტომ, რომ „ეს რატომ ჩვენ ვერ ვიფიქრეთ პირველადო"...

ერთმა შემთხვევამ ჩინებულად გამოსახა ამ ვაჟბატონების თვისება: მათ დასს გარეშე მყოფთ ხმოსნებმა შეიტანეს წინადადება, რომ დაფასებითი გადასახადი ხელ-ახლავ გაიწეროს შენობათა უფრო სამართლიანის დაფასებით და შესაფერის გადასახადის დადგენით. წინადადება მიიღეს და მოსალოდნელი იყო, რომ მისს ასრულებას საიმედო კაცებს მიანდობდნენ და მითი თვალ-საჩინოდ აიწევოდა ქალაქის შემოსავალი, მით უფრო, რომ ეს დაფასებითი შემოსავალი დღეს იმის მესამედსაც არ იძლევა, რაც შეუძლია. მაგრამ, საუბედუროთ, ამის თაობაზე დანიშნულს კომმისიაში თითქმის „ოპპოზიციის" ყველა მოთავენი დაინიშნენ, რომელნიც თავიანთ მინდობილებას თფილისის თეატრის ამშენებელი კომმისიასავით ასრულებენ: ცდილობენ როდინობის კვირისათვის გადადვან ეს საქმე.

იკითხავთ: რატომო? იმიტომ, ჩემო ბატონო, რომ, თუ იმათ სვინიდისიანად შეასრულეს საქმე, მაშინ თვითონ იმათ მიემატებათ გარდასახადი, რადგანც უმრავლესობა მათგანი მრავალ შენობათა პატრონია და დანარჩენებს კი მათთან კუდი-კუდზედა აქვსთ გადაბმული.

ქალმა მართალი უნდა სთქვას, რომ ერთი რამ კი არ აკლია ამ უხამსს „ოპპოზიციას": ეს გახლავთ ხრიკიანობა. როცა დაინახა, რომ საცაა გაიგებენ ზემოხსენებულ კომმისიის ოინბაზობასო, სხვების თვალის ასახვევად გამართა ცხარე ბაასი აწმყო წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიშის განხილვის დროს (რომელიც ჯერაც არ გათავებულა): აქაო და ბამგეობის ხარჯი უნდა შევამციროთო, თორემ მთელი ჩვენი ქალაქის შემოსავალი სხვა-და-სხვა ნაირ ჯამაგირებს უნდებაო. იცით ამ მოთხოვნილების ნამდვილი, ფერ-უცვლელი სარჩული რა გახლავთ? ქალაქის თავის ჯამაგირის შემცირება და კანცელარიის ხარჯისათვის ათიოდე მანეთის მოკლება, მეტი არაფერი. რა გამოვა, ბატონებო, მერე, თქვენი ცდა კიდევაც რომ დაგვირგვინდეს? რა შეძენაა ვითომ ქალაქისთვის ათასიოდე მანეთი?

ამ ორ თვეში აქ დაარსდება ბ. ზერარდისაგან კარგად მოწყობილი სტამბა მსწრაფლ-მბეჭდავი მაშინითურთ. ქართული განყოფილება ამ სტამბისა, დამაარსებელის სიტყვით, რამდენადაც კი შესაძლებელია ახლანდელ დროში, სრული იქნება.

ამ სასიამოვნო მოვლენას მგონი ზედ დაერთოს მეორე უუსასიამოვნესი მოვლენა: რამდენიმე პატივცემულს კაცს მოლაპარაკება აქვს კვირეულ გაზეთის გამოცემაზე (გთხოვთ, ქოლა ქუთათელაძის კადნიერი განზრახვა არ გეგონოთ). მწერლობითი ძალა კი არის, მაგრამ შეძლებით ღონეზე კი მოკლებულნი გახლავან (კაი წამალი ჰკლებიათ!). მაგრამ იმედი აქვთ, ერთ-და-ერთს შეძლებულთაგანს გაუღვიძონ პატრიოტული გრძნობა და საჭირო ფული გამოაღებინონ. იმედი აქვთ კიდევ, რომ საზოგადოება კარგად მიეგებება ამ გამოცემას, და გარდა ამისა კიდევ იმედოვნებენ... სულ იმედი და იმედი, ვაი ამდენ იმედებსაც!

და ამისთანა კაცი დღეს საქვეყნოთ გამოდის და—თხოულობს, რომ იმის სიტყვას დაუჯეროთ!..."

# რუსეთი

პარიჟის გაზეთს „*Iournal des Débats*"-ში დაბეჭდილია პეტერბურ-ღიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომელშიაც სწერენ, რომ სარატოვის ერის კრებამა აცნობა შინაგან საქმეების მინისტრსაო, რომ ჩვენს გუბერნიაში 750,000 სული შიმშილისაგან შეწუხებულია და მათ შესაწევნათ 5 მილიონი საჭიროა გაზაფხულამდინ.

ესვე კორრესპონდენტი გვარწმუნებს, რომ სამარის გუბერნიაში ერთ მილიონზე მეტს ხალხს მოსპობილი აქვთ ყველა გვარი საცხოვრებელი ღონის-ძიება.

# უცხოეთი

**ოსმალეთი.** ერთს ინგლისურს გაზეთში იწერებიან ბერლინიდამ ტელეგრამმას, რომ კანდიის კუნძულზე დიდი არეულობა არის ხალხისა. მომეტებული ნაწილი კანდიელები ცდილობენო განთავისუფლდნენ ოსმალეთის ქვეშევრდომობისაგანაო.

ფრანცუზულ გაზეთს „*Des Débats*"-ს აცნობებენ, რომ დუბლინის სამოქალაქო კრებას გადუწყვეტია, სთხოვოს უმაღლესს მმართებლობას, რომ შესცვალოს მიწის შესახებ კანონი ირლანდიაში. ამ გვარსავე შუამავლობას ინგლისის უმაღლესს მთავრობის წინაშე, ამბობენ, ირლანდიის სხვა ქალაქებიც აპირებენო.

# განცხადებანი

**არწრუნის თეატრში**

**ოთხშაბათს, 14 იანვარს**

ქართულ დ რუსპისაგან წარმოიდგინება

**I**

**პარიჟელი კინტო.**

კომედია ორს მოქმედებად

**II**

**დივერტისმენტი**

**III**

**მოტია**

ვოდევილი ერთ მოქმედებად.

ბილეთები ისყიდება არწრუნის თეატრის კასსაში.

**დასაწყისი 8 საათზე.**

---

**ისყიდება**

**პიანინო**

ერარდის ფაბრიკისა ტატო ბაბაშვილის სახლებში, ოლგინის ქუჩაზე. (2—2)

---

**ქირავდება სახლი**

თ. ივ. ორბელიანისა, ბაღის პირდაპირ, მტკვრის ნაპირას, სულ 15 ოთახია, თავის სარდაფებით, ორი სარაიით და ყველა მოწყობილობით.

დაწვრილებით პირობის შეტყობა შეიძლება აქვე. (3—2)

---

**მიუხედავათ** იმისა, რომ ბაჟა მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქალალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში.** საავგენტო ბარნსბის უნაგრების გასასყიდლად, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ეკსტრაქტისა კაკაო ფრაის, რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. გაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხვეულის კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა. 100—4

---

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო ..ებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლემშვინი ზეთისა) და სხვ. საავგენტო მაკინტოშის მოსასხურავებს გასასყიდლად განფეტების და ბატჯერის და კამბ. მურაბისა, აგრეთვე ხულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭავანას სიგარები. (100—4)

---

**ინგლისის მაღაზიაში** ისყიდება რევოლვერები, რომლითაც შეიძლება ოცი ავაზაკის ერთად მოკვლა, ფასი 1 მან. 50 კაპ. ყველა ინგლისის იარაღები ისყიდება აქ 30 პროცენტ ნაკლებ ვირემც სხვაგან. (20—7)

---

**შოტლანდიის ქუდები** — 1 მან. 25 კაპეიკიდამ, ყმაწვილის წინდები, დუქნი—1 მან. და მეტი, ტანისამოსის ცოცხი 50 კაპეიკიდამ, ბრიტანიის მეტალის ჩაინიკები — 1 მანეთიდამ და სხვა — ისყიდება **ლონდონის მაღაზიაში**, კამერჩესკი ბანკის ქვეშ. 10—10

---

**ლონდონის მაღაზია**

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა პიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად და საუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შიოთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ... (100—17)

---

**ინგლისის მაღაზიაში**

თმის ამ-ყვანი



მაკ-ალ-ტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან. გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის შოშანა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები თავის ტყავისის მოსასუფთავებლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ. (150—29)

---

# ინგლისის მაღაზია

*Maison de confiance*

შავადრეთ ნვენი ჩაი—1 მ. 10 კ. მოსკოვის ჩაის—1 მ 40 კ.

| | | | |
|---|---|---|---|
| — — | —1—20 | — | —1—60 |
| — — | —1—40 | — | —1—80 |
| — — | —1—60 | — | —2— „ |
| — — | —1—80 | — | —2—50 |
| საუკეთესო | —2— „ | — | —3— „ |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცისა და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში,

---

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ [illegible] მოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—78)

---

**პატენტიანი შხოტკები**

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ფეხსაცმლები სახურავებით 2 მანეთიდამ; **სარძევე** 30 კაპ.; **რუმკები** 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუჯ; შოკოლადის კანფეტები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. **ინგლისურს მაღაზიაში.** (100—76)

---

# შემთხვევით

რადგან ინგლისის მაღაზია სასმელეულით ვაჭრობას თავს ანებებს, ამის გამო ახლა ისყიდება: პირველის სორტის 3 წლის ხერესი და პორტვეინი ბოთლი 1 მან. და 50 კაპ., ძალიან კარგი 1 მან. და 20 კაპ., საუკეთესო კონიაკი—2 მან. იქვე ისყიდება 5,000 ფადნოსი და გასაღებები 8 კაპ., ინგლისის რევოლვერი 4 მანეთიდამ 35 მანეთამდინ, საუკეთესო ტარიელკები 2 მან. დუქანი, პალტო და მთელი ტანისამოსი 15 მან. და სხვ. 20—18

---

**შ ე ნ ი შ ნ ვ ა**

**რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.**

**თმის გასამაგრებელი**

**მაკ - მასტერი**

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო **ინგლისის მაღაზიაში** ეს წამალი ეხლა 2 მანეთად დის. (100—93)

---

მიღებულია ჩაი, პირველი მოსავლისა, რევოლვერები, საჩაეები, კამფეთები, მურაბები და სხვ. და სხვ. 25 პროცენტით ნაკლებ იყიდება მინამ სადმე სხვაგან — **ინგლისურ მაღაზიაში** არწრუნის გალერეიაში. 12—10

---

ქ უ თ ა ი ს შ ი

## „ივანე ნიკოლაძის და შვილების"

**მოდის მაღაზიაში**

ისყიდება ყველაფერი რაც გინდა სულო და გულო:

მანდილოსნების ტანისამოსი, ოქროულობა, დიდ-ძალი და ჩინებული შუშეულობა, მშვენიერი საცვალი კაცისა და ქალების გასაოცარ იაფად. წარმოიდგინეთ: პარიჟში საგანგებოდ შეკერილი უპირველესი ხარისხის პერანგები თითო 3 მან. 75 კ. იყიდება! ზარდა ამისა საზღვარ-გარეთის ჩინებული ჩექმები, რომელთაც **სიმტკიცე აქვს ნაჭედისა და სილბილე ნაქსოვისა;** ძალიან ბევრი სათამაშოები ბავშვებისათვის და სხვ. და სხვ.

ერთის სიტყვით, ვისაც რა გნებავთ, შებძანდით „**ივანე ნიკოლაძის და შვილების**" მოდის მაღაზიაში და იქ იპოვნით ყველაფერს ძალიან ხელ-მისაცემ ფასად, ასე რომ შემდეგში მუდამ მადლობელი იქნებით ამ მაღაზიისა (10—5)

Дозволено цензурою. Тифлисъ 13 Января 1881 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი